



30.09.2015

NGO-ები: „ნენსკრა ჰესის“ გზმ-ს ანგარიშში სხვა ჰესების გზმ-დან კოპირებული მასალებია



„ლიბერალი“

შეუერთდი განხილვას

ამავე თემაზე

აგულაშვილი: „ნენსკრაზე“ დადებითი დასკვნა გაიცემა, თუ ჩვენს მოთხოვნებს გაითვალისწინებენ ნებართვის არქონის მიუხედავად, „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაო იწყება

შენიშვნები „ნენსკრა ჰესზე“: „არაა შეფასებული ზიანი, რომელიც მოსახლეობას მიადგება“

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ და „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა“ „ნენსკრა ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ერთობლივი შენიშვნები მოამზადა.

როგორც ორგანიზაციები აღნიშნავენ, წარმოდგენილი გზმ ანგარიში ძალიან უხარისხოა.

მათი თქმით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ანგარიში და საკონსულტაციო შეხვედრები, არათუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს, არამედ საქარველოს კანონმდებლობასაც კი არ შეესაბამება.

ამასთან, ორგანიზაციების მტკიცებით, „ნენსკრა ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში სხვადასხვა ჰესის გზმ-ს ანგარიშებიდან კოპირებული მასალები არსებობს.

„ანგარიშში ვხვდებით შპს „გამას“ და სხვა საკონსულტაციო კომპანიების მიერ მომზადებულ სხვა ჰიდროელექტროსადგურების გზმ-ებიდან კოპირებულ საკმაოდ ვრცელ ადგილებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ან ნაწილობრივია შესწავლილი, ან საერთოდ გამოტოვებულია. მაგალითად, შინაარსით ანალოგიური თავები „5.2.6.1.1 ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის შესახებ“, და „6.10.2.1 ზემოქმედება ფლორაზე (მშენებლობის ეტაპი)“, სიტყვა- სიტყვით მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში (მაგ. შავი ზღვის ელექტროგადაცემის პროექტის, ლარსი ჰესის, ყაზბეგი ჰესის შუახევი ჰესის გზმ ანგარიშებში)“, - ვკითხულობთ მასალაში.

ორგანიზაციებს ერთობლივად მომზადებულ შენიშვნებში კოპირებული მასალის მაგალითები შუახევი-ჰესის გზმ ანგარიშიდანაც მოჰყავთ.

მათი თქმით, ძველი გზმ ანგარიშიდან ტექსტის გაუაზრებელი კოპირების გამო, სამინისტროების ძველი დასახელებებია მოხსენიებული.

არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, გზმ ანგარიშში ასეთი ჩანაწერი გვხვდება: „ეს ქმედება წარმოადგენს კლიენტის და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის შემდგომი ურთიერთობის საგანს“. აღსანიშნავია, რომ დღეს სამინისტროებს განსხვავებული სახელწოდებები (ენერგეტიკის სამინისტრო; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) აქვთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ამ თავების არსებობა ემსახურება არა რეალური და საუკეთესო ალტერნატივის წარმოჩენას, არამედ მხოლოდ ანგარიშში მათ ფორმალურ არსებობას.

„იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული საკითხების განსაზღვრა და შეფასება არის სწორედ გზმ ანგარიშის მომზადების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ნათელია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ამ ამოცანას არ ასრულებს. ამასთან მსგავსი სახით ანგარიშის წარმოდგენა ეწინააღმდეგება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნებს“, - აცხადებენ ორგანიზაციები.

როგორც „ლიბერალს“ 4 სექტემბერს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განუცხადა, „ნენსკრა ჰესზე“ დადებითი ეკოლოგიური დასკვნა იმის შესაბამისად გაიცემა, თუ მათი სპეციალისტების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება.

ორგანიზაციების შენიშვნების სრული ვერსია

0 Comments

Sort by Top



Add a comment...

Facebook Comments Plugin

ფოტოგრაფიის ღამე 2015
26 სექტემბერი
20.00-დან 00.00-მდე
ძველი თბილისი

